ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 18 1883—1896 30 სექტემბერი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	3 მან	12 თვით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Кваирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რა დროიდამ არის შემოღებული წმინდა სანთლის ხმარება? რა მნიშვნელობა აქვს სანთლის ხმარებას? ვის ატყუებ, ღმერთს თუ კაცს?

წმინდა სანთლის ხმარება ღვთის მსხვერპლად ჯერეთ ძველ აღთქმაში იყო შემოღებული. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ხომ ნამეტნავად გავრცელდა.

წმინდა სანთლის ხმარება ეკკლესიებში და სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედების აღსრულებაზე, როგორც ჩანს, 1-ლ საუკუნეებიდან ყოფილა შემოღებული, ნამდვილად მეტყობილია, რომ მესამე და მეოთხე საუკუნეებში წმინდა სანთელს ხმარობდენ ეკკლესიებში. უოვლად შეუძლებელია, რომ სანთლის ხმარება მარტო ამ საუკუნეებში შემოეღოთ, რომ მოციქულების დროსაც არ ყოფილიყო იგი შემოღებული. მოცი-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ქულების დროსაც ეკლესიის ნივთთა შორის ირიცხებოდა წმინდა თაფლის სანთელი და ზეთი. ძველ დროშივე ეპოულობთ და ეკითხულობთ კანონების დასასჯელად იმ პირთა, ვინც მოიპარავდა ზეთსა და სანთელსა ეკლესიიდან. ამა ნივთთა ქურდნი ისჯებოდნენ ეკლესიიდან გარიცხვით. კარფაგენის ეპისკოპოსი მენსური რომ წაიყვანეს რომში საწამებლად, იმან სხვა და სხვა საეკლესიო ნივთთა შორის ჩააბარა ხალხის უფროსს კაცებს ორი სასანთლე. აქედან უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ თაფლის წმინდა სანთლის სმარება ეოფილა მესამე საუკუნეში. მეოთხე საუკუნეში რომ წმ. სანთლის სმარება აშკარად ეოფილა, ამას ამტკიცებს ნეტარი იერონიმე, რომელიც ამბობს, რომ იმის დროს იეო კეთილი ჩვეულება წმ. სანთლის სმარებისა ღვთის ვედრებაზე.

გრიგორი დვთის-მეტყველი მოგვითხრობს ჩვენ სანთლის სმარების მნიშვნელობას ნათლისღების დროს, იმპერატორი იუსტინიანესაგან გამოცემული კანონით, არავის არ ემლეოდა ნება მონასტრის, ეკკლესიის ანუ სამლოცველო სახლის აგებისა, ვიდრემდის აღმშენებელი არ დანიშნავდა მამულს, რომლის შემოსავლიდან შემლებულიეო ეოველთვის ზეთის, სანთლის და სხვა საჭირო საეკკლესიო ნივთების ეიდვა ღვთის-მსახურების შესრულებისათვის და სხვა...

მეექვსე საუკუნეში ვხედავთ სამოქალაქო მთავრობის განკარგულებათა, რომელნიც იფარავენ წმინდა სანთლის წარმოების საქმეს ეკკლესიებში. მეშვიდე მსოფლიო კრება აძლევს წინადადებას ყველა მორწმუნეთა, რომ მათ გამოხატონ თავისს მხრით ჰატივისცემა და კრძალვა ცხოველს-მეოფელისა ჯვარისა და წმიდათა ხატთა მთხვევითა, თაყვანის ცემითა, საკმეველით და სანთლის დანთებითა.

დანიშნულება სანთლისა ეოველთვის ერთი და იგივე იეო და არის ქრისტიანობაში. ეპისკოპოსი სიმეონ სოლუნელი თაფლის სანთლის მნიშვნელობას ხსნის ასე: „თაფლის სანთელი, ამბობს იგი, როგორც ყველაზე უწმინდესი ნივთი, ნიშნავს ჩვენი სულის სიწმინდეს და წრფელს გულს, რომლითაც ჩვენ შევსწირავთ ღმერთს ამ შესაწირავს. თაფლის სანთელი, როგორც რბილი ნივთი, რომელზედაც ადვილად დაიბეჭდება სხვა და სხვა საგანი, სახე, ნიშნავს ბეჭედსა ანუ ჯვრის გამოსატულებას, რომელიც მოგვეცემა ნათლისღების დ მირონცხების დროს. თაფლის სანთელი ნიშნავს მას, რომ ჩვენ ეოველთვის მზათ ვართ მოვინანოთ ჩვენი ცოდვები. თაფლის სანთელი, როგორც ნივთი, შეკრებილი სხვა და სხვა კეთილ სუნნელოვან ყვავილებთაგან, ნიშნავს სული წმიდის მადლს. როდესაც კაცი ანთებულ სანთელს მიართმევს მაცხოვრის ხატს, ამით იგი ადიარებს, რომ მისი გულიც და სულიც მსგავსადვე არის ანთებული ღვთის სიყვარულითა და სარწმუნოებითა.

ზოგი ფიქრობს, რომ წმინდა სანთელს სმარობენ ეკკლესიაში ვითომც მარტო სინათლისათვის, ვინაიდგან ლოცვა და ღვთის მსახურება სრულდება ღამით, მაგრამ ეს აზრი მართალი არ არის. სანთელს რომ ეკკლესიაში მარტო განათების მეტი დანიშნულება არ ჰქონდეს, როდიდა იქნებოდა მისი სმარება საჭირო დღისით, როდესაც უსანთლოოთაც ყველაფერი ისედაც კარგათ. სანთელს სინათლეს გარდა აქვს კიდევ სხვა მნიშვნელობა, რომლითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიხატება სხვა და სხვა ჩვენი სულიერი მდგომარეობა. სანთელი არის მსხვერპლი, რომელსაც ჩვენ შევსწირავთ ღმერთსა. მაშასადამე ამ მსხვერპლის მასალა უნდა იყოს წმინდა, რომელშიაცა არ უნდა იყოს გარეული იმისთანა ნივთი, რომელიც მსხვერპლად არ შეიწირება.

ძველ აღთქმაში ყოველი მორწმუნე პირი ებრაელთაგანი ვალდებული იყო, რომ ყოველი სამსხვერპლო და შესაწირავი ნივთი, მაგალითებრ, ზეთი უნდა ყოფილიყო წმინდა, გამონახადი ზეთის ხილისაგან; საკმეველი უნდა ყოფილიყო კეთილ სუნოვანი. შესაწირავი კრავი უნდა ყოფილიყო უმანკო და უნაკლულო. თუ ძველ აღთქმაში ამისთანა ყურადღება იყო მიქცეული სამსხვერპლო და შესაწირავ მსხვერპლზე, რასაკვირველია, ეხლაც ისეთივე ყურადღება უნდა იყოს მიქცეული სანთელზედაც, როგორც სამსხვერპლო საგანზე და ნივთზე. წმინდა სანთელში შერევა სხვა და სხვა ნივთთა იქმნება სიყალბე, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ ვარგა. ამისთანა ყალბი სანთელი სრულებით არ იქმნება გამომხატველი იმ დანიშნულებათა და მიზანთა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვთქვით.

მკითხველი ალბად მიხვდება ამის შემდეგ, თუ რა სისაძაგლეს ჩადის კაცი, როდესაც ყალბ და უწმინდურ სანთელს ყიდულობს და მიაქვს ეკლესიაში შესაწირავად, ანუ შინ ოჯახში ხმარობს რომელიმე მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს. ყალბი და უწმინდური სანთლის მყიდველი ღმერთსაც ატყუებს, თავის-თავსაც და სხვასაც. ყალბ სანთელს ყიდულობენ მიტომ, რომ იგი იაფად იყიდება. მაგრამ ვინ გატანს ძალას, რომ მაინც და მაინც სანთელი იყიდო, თუ შენი სურვილი არ არის? მაგრამ არა, შენ გსურს სხვას წაბაძო და ეკლესიაში მიიტანო შესაწირავი, ამისათვის თვითონ ეკლესიაში კი არ ყიდულობ წმინდა სანთელს, არამედ სადღაცა დუქნებში, მალულად ყიდულობ ყალბ სანთელს, რომელიც ნამდვილი ცვილისაგან კი არ არის მომზადებული, არამედ სხვა და სხვა უწმინდური ნივთებისაგან და გგონია, რომ ამით შენს ეკლესიას შესაწირავი მიართვი. ამისთანა ყალბი შეწირულებით მადლის მაგიერ შემწირველი ცოდვას სჩადის, რომლისათვის პასუხი უნდა აგოს ღვთისა და ხალხის წინაშე. ღვთის წინაშე ცოდავს ყალბი სანთლის შემწირველი მით, რომ თავის ცუდ განზრახვას ამტკიცებს. სამწყსოს წინაშე პასუხის მგებელია მით, რომ ყალბი სანთლის ანთებით ეკლესიაში კომლი დგება, რომელიც აფუჭებს მხატვრობას და ეკლესიის ნივთებს. რომ კარგად დააკვირდეს კაცი სანთლის ყიდვა-შეწირვის საქმეს, მაშინ თვითონ მიხვდება, თუ როგორ საძაგლობას სჩადის, როდესაც სანთელს არ ყიდულობს ეკლესიაში, ანუ იქ, სადაც დანიშნულია სასულიერო მთავრობისაგან სანთლის საყიდელი ადგილები. ყველანი ადვილად მიხვდებიან, რომ ყალბი სანთლის მყიდველნი ღმერთსაც ატყუებენ და თავის თავსაც. ამისათვის არის ფიცხელი სასჯელი, გარდაწყვეტილი მართებლობისაგან, ვინც მალულათ ყალბ სანთელს ყიდის, ანუ წმინდა სანთლის ვაჭრობას დაიწყებს, ვისაც უფლება არა აქვს. სასჯელი ამისთანა პირთათვის 1890 წლის აქეთ უმეტესი არის და ყველა მოვაჭრეებმა უნდა იცოდენ და გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ ეკლესიას ზარალი არ მისცენ და მდაბიო ხალხი არ მოატყუონ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

სამგვარი სიკვდილი.

სიკვდილი გუნებითი, ურწმუნოებითი და ქრისტიანული.

(რუსულიდან).

(გაგრძელება *).

თუთხმეტიოდე წლის განმავლობაში ივანე ილიას ძის ცხოვრებაში ყველაფერი რიგისამებრ მიდიოდა. მე-45 შელიწადში ის უეცრად შეიპყრო სასი ვდინე ავათ-მყოფობამ. დადგა წამი მისი სულიერად და ხორციელად აუტანელი ტანჯვებისა. ავათ-მყოფობამ ის სრულიად შესცვალა; აუტანელი შეიქმნა, ასრე რომ ხანდისხან მოურიდებლად გადუკრავდენ სიტყვას, რომ ის ცხოვრებაში გამოსადეგი აღარ იყო, დრო მოუმული იყო. ეს სიტყვის გადაკვრ-გადმოკვრა მას ან სამსახურში, ან რაც ყველაზე უფრო საწყენი იყო, ვინტის თამაშში უნდა მოესმინა. მაგრამ მათზე სამდურავის მიზეზი მას არა ჰქონდა, იმიტომ რომ იმ სიტყვების გადაკვრ-გადმოკვრაში იხატებოდა მისივე საკუთარი მიმართულება ცხოვრებისა და ხალხისადმი. მას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ ყველასფერი ენახა, შეეგნო, ეთმინა და ტანჯულიყო. მისივე საკუთარი ოჯახობა-ჯანმრთელი ცოლი და გაფურჩქნილი ქალი — სხვებს არ რჩებოდენ უკან, და იმათგან ავათმყოფისადმი უკეთესის თანა-გრძნობის მოლოდინი მეტი იქნებოდა, რადგანაც ისინიც იმავე ხის ნაყოფს შეადგენდენ. ამ მდგომარეობაში მყოფი ივანე ილიასძე თავის თავს ჩაუფიქრდა, მაგრამ რა ნუგეში უნდა მოეცა მისთვის შინაგან მხარეს, როდესაც ის სულ ერთიან გამოკარიელებული იყო იმ მისწრაფებებით, რომელთა განსახორციელებლათ ეხლა ავათმყოფს არავითარი ძალა არ შესწევდა. მომაკვდავი გოლოვინი გრძნობდა ერთ აუტანელ ტკივილს, გამომხვრელ, შემაიწროებელ ჰაზრს მასზე, რომ „მსუბუქი, სასიამოვნო და მართებული“ ცხოვრება თუმცა ნელის, მაგრამ სწორის ნაბიჯით მას საუკუნოთ ეცლებოდა. სამნაირი წარმოდგენა, რომ ის ყველასაგან მიტოვებული შეიქნა, თავისი ოჯახობიდამაც კი, რომ მასში დიბუდა აღმოუფხრელმა ტკივილმა, ხოლო სიცოცხლე მალე მოეკვეთებოდა, უსათუოთ მოეკვეთებოდა—ჰქენჯნიდა ნაწილ-ნაწილ ივანე ილიას ძის მთელ არსებას. იგი იტანჯებოდა უსახო თავ-განწირულების ყოველ ნაირ სატანჯველით, იგი ის-ის იყო ასე კარგათ მოეწყო, მის ხელთ იყო ფულები, მდგომარეობა უფლება - გარდა სიცოცხლისა, მისთვის საჭირო აღარა იყო რა, სიცოცხლე კი მეტის მეტად სურდა, მაგრამ სასიცოცხლოდ გამობრუნებისათვის არა ვითარი ძალა მას არ შესწევდა. მას შესძულდენ ყველა ჯან-მრთელნი და ღონით სავსენი, ასე გასინჯეთ, მას ეზარებოდა შეხედვა თავის ქალისა, რომელიც ბედნიერი იყო სიყვარულით, რომელიც ქორწინებით უნდა დასრულებულიყო; თავის-თავს სიტყვით გამოუთქმელ ძალას ატანდა არ ეცემა თავისი ცოლისათვის, რომლის შეხედვაც მას ცოფსა ჰგვრიდა. წარმოდგენა მიწურულ სიცოცხლეზე ავსებდა სულსა და გონებას ბოროტის თავ-ზარს-მცემელობით. „დახე, რა ცხოვრება მქონდა, ამბობს იგი, და აი მეცლება, მშორდება, და მე კი არ შემიძლია მისი შეკავება.... მე აღარ ვიქნები, მაშ რა იქმნება? ნუთუ სიკვდილი? „არა, არ მინდა“!... „სიკვდილი, ჰო, სიკვდილი. და იმათ კი არც ერთმა არ იციან და არც სურთ იცოდენ. სულელები! პირველად მე, და მერმე იმენებს; და იმათაც ასრე მოუვა, ხოლო იმათ უხარიათ. პირუტყვები“! ამას თან მოჰყვებოდა გაბრაზებულობა. „შესაძლებელ არ არის, რომ ყველას სამუდამოთ ეს თავ-ზარდამცემი ”ში“ ეწეროს“! ივანე ილიას ძეს მოუსვენარი მოძრაობით და მნებელობის მედგრობით სურდა, სურდა განედევნა სიკვდილის წარმოდგენა; მაგრამ მოუშორებელი კითხვა ხელ-ახლავ უბრუნდებოდა. „შენ რა გინდა? ან პირველად ჰფიქრობს ნაღვლიანათ ავათმყოფი, რა გნებავს? რა? მოსვენება, სიცოცხლე“. ამ სიტყვამ წარმოუყენა მომაკვდავს მისნი უკეთესი ფიქრნი. ის მხოლოდ სიცოცხლისთვის ფაციცობდა, სხვაზე არასფერზე არ ჰფიქრობდა, ხოლო სიცოცხლე კი ხელიდამ ეცლებოდა მას; ყოველივე ეს მისი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა. მას სურს ცხოვრება, ცხოვრება და ცხოვრება—მეტი არასფერი—სიკვდილი მას არ უნდა, ხოლო ის კი აშინებს, აბოროტებს მას, „არ მინდა“! ბორგავში ჰყვირის იგი და ჩუმდება მხოლოდ რამდენიმე წამით უკანასკნელ აღ-

---

* იხ. „მწყემსი“ № 17 1896 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოოხვრის წინ, რომელმაც მაინც არ დაიშალა მოსვლა.

თუ რომ ჩვენ ერთი მეორეს შევადარებთ ზემოთ აღნიშნულ მაგალითებს, რომელთაგან ცხადათა სჩანს, თუ სხვა და სხვა პირნი როგორ ეგებებოდენ სიკვდილს, მაშინ ცხადი იქნება, თუ რომელი მათგანს უნდა მივსცეთ უპირატესობა. ჩვენ თანაგრძობას იპყრობენ სოკრატი და სტოიკები, ე. ი. ის ხალხნი, რომელთაც სწამდათ სულის უკვდავება: მხოლოდ ამ ნაირ ხალხს შეუძლია მშვიდათ, უშიშრად მიეგებოს სიკვდილს, და აქედან ცხადია, უნდა წარმოსდგებოდეს ის, რომ კაცობრიობა უშიშრად ეგებება სიკვდილს. მაგრამ ამის შესახებ რამდენიმე შენიშვნა უნდა მოვიყვანოთ. ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რომ სოკრატის სიკვდილი განსაკუთრებითი მოვლენას წარმოადგენს, რომ ისე მოკვდეს კაცი, როგორც სოკრატი, ისიც უსათუოდ სოკრატი უნდა იყოს. ამას განა ბევრი შესძლებს? სტოიკებზედაც აუცილებლად ესევე უნდა ითქვას. თუ დიდის ხნობით ძალას დავატანთ კაცის ბუნებას, შეიძლება კაცის გულიდამ აღმოვფხვრათ ყოველივე სისუსტე, როგორც სტოიკები იტყოდენ, და ამასთანავე ისიც ძნელი სათქმელია, რომ ამ საშუალებით ყოველთვის მიზანს მივაღწიოთ, და ყოველს მიმდევარს სტოიკური ფილოსოფიისას შეუძლია თუ არა მიიყვანოს თავის თავი იქამდის, რომ სრულიად უშიშრად და გულ ცივად შეეგებოს სიკვდილს. პაკუვიას მაგალითი გვიჩვენებს, რომ წინააღმდეგი აზრის მექონე კაცთაც შეუძლიათ ტრაბახი, რომ სიკვდილს უშიშრად მიეგებონ და თუ რომ ჩვენ უდრტვინველად არ შეგვიძლია მოსმენა მისი მეტიჩრული საქციელისა, ეს ხომ პიროვნული გრძნობაა და არა დამტკიცება, და, შეიძლება პაკუვიმ მომხრეებიც ადვილად იშოვოს. ამ სახით მისი დასკვნა, რომ სიკვდილი სოკრატისა და სტოიკებისა უკანასკნელის აღსასრულის უშიშროების საიდუმლოს გამოცნობას შეადგენდეს, ძლიერ აჩქარებული მოსაზრებაა, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ კაცობრიობას ეს საიდუმლო ნამდვილად ხელათ უპყრია. რუსის ნიჭიერი მწერალი და ხალხის ერთგული დარაჯი ი. ს. ტურგენევი თავის, სიმარტივით და ხელოვნებით შეუდარებელი, «მონადირის წერილებში» აღგვიწერს სამგვარ სიკვდილის შემთხვევას სამის რუსისას. ეი რას მოგვითხრობს იგი ერთი გლეხის სიკვდილზე: «საწყალი მაქსიმეს სიკვდილმა დამაფიქრა მე. გასაკვირველთაა აგებული რუსის გლეხი! მის სიკვდილის წინარე მდგომარეობას არ შეიძლება გონებითი სიჩლუნგე ეწოდოს, ანა და გულგრილობა, ის ჰკვდება ისრე, თითქოს და რიგსა და წესს ასრულებდეს: ცივად და გულ გრილად". შემდეგ ტურგენევი ორჯერ კიდევ ამბობს განკვირვებული: „გასაკვირველად ჰკვდებიან რუსები. რუსის კაცის სიკვდილმა გააკვირვა ტურგენევი; მაგრამ ის არ გაჰკვირდებოდა, რომ ამ უშიშროების მიზეზი მოეფიქრა. იგი მდგომარეობს რუსის ხალხის ქრისტიანულ სარწმუნოებაში. საიდუმლო აღსარებისა და ზიარებისა, რომელიც მომაკვდავზე სრულდება, აძლევენ მორწმუნეს უაღრეს უშფოთველობას, რომელსაც ვერავითარი წამლები ვერ მისცემენ,— სასოებას ღვთის მოწყალებაზე და საუკუნო ნეტარებაზე. ეს იმედი ამხნევებს მომაკვდავს და სიკვდილის აჩრდილი, რომლის წინაშეც ყოველი სულდგმული ძრწის, მისთვის უშიშარი ხდება. ზეულ-წრფელი აღსარება და ზიარება არიგებენ მას ღმერთთან, რომელსაც ცოდვები აშორებენ, და იგი სიკვდილს ისრე კი არ უცქერის როგორც უბედურებას, არამედ როგორც შერიგებას. აქედან წარმოდგება მშვიდი და არა გულცივი, როგორც ტურგენევი ამბობს, არამედ ნამდვილი დამოკიდებულება სიკვდილისადმი ქრისტიანისა. იგი წარმოსდგება კაცის სიცოცხლის, ამ, მართლა, და დიადის წამის შეგნებისაგან, რომელიც (წამი) არის უკანასკნელი საფეხური, რომელიც ან აახლოებს კაცს ღმერთან ან საუკუნოდ აშორებს მას. პირველის იმედი უნდა ჰქონდეს თვითეულს ქრისტიანს, თუ რომ იგი თვისის ნებით არ დაჰკარგავს მას ეკკლესიის ცხადი და განსაზღვრული მოთხოვნილების დარღვევით, ამ ნაირად მაშინ, როდესაც სოკრატმა გვიჩვენა მაგალითი უაღრესი სიკვდილისა, სტოიკებმა—გულ გრილი, პაკუვიამ-ბინძური და სასაცილო, ნერონმა ნამდვილ მშიშარასი, ხოლო ივანე ილიას ძმ განფიცხებულისა, ქრისტიანობა გვიჩვენებს სიკვდილის ნიმუშებს, როგორც შერიგებისას. უპირატესობა მისი სხვებთან ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. სოკრატობას და სტოიკობას ძვირად ვინმე შეიძლებს. ივანე ილიას ძეობასა, ნერონობასა და პაკუვიაობაზე ძნელად ვინმე დასთანხმდება. პირველის მაგალითში სანუგეშო არა არის რა, ხოლო მესამის მაგალითი კაცის ღირსების შემაგინებელია, მაგრამ ქრისტიანულად სიკვდილი შესაძლებელი თვითეული კაცისათვის, თუ რომ იგი ამას მოისურ-

ეროვნული

ვებს; ამას თავის-თავზე თვალ-საჩინოდ გვიჩვენებენ უბრალო. რუსები ისინი მოკლებულნი არიან ყოველ გვარ ფილოსოფიურ მსჯელობას, უშიშრად ჰკვდებიან იმიტომ, რომ მორწმუნენი არიან. Ისინი ადვილად და ალუშფოთებლად ჰკვდებიან, იმიტომ რომ ისინი ქრისტიანები არიან, ხოლო ქრისტიანობა დამამშვიდებელია.

Საქრისტიანო ეკკლესიის ისტორია ალუშფოთებელი სიკვდილის მრავალ მაგალითს გვიჩვენებს. Და გასაკვირვალი ის არის, რომ რამდენადაც ჩვენ ზარდამცემად გვეჩვენება სიკვდილი ჭეშმარიტის ქრისტიანისა, იმდენად იგი უკანასკნელში იწვევს დამშვიდებას და სიხარულს. Გავიხსენოთ ის შავი და ბნელი დრონი, როდესაც ქრისტიანობა ძნელის, სისხლით მოცული გზით, შემოდიოდა კაცობრიობაში. აქ დევნულებაზე არის ლაპარაკი. Იმ ურიცხვ წამებულ ქრისტიანეთაგან მოვიხსენოთ ერთი თვით უსაშინელესი პერპეტუიას სიკვდილი. ამ ქალს ცხოვრების ყოველ გვარი სიტკბოება, რაც მომაკვდავისათვის შესაძლებელია, გარს ერტყა, და ბევრი მათგანი ძლიერ საგრძნობელიც იყო. Იგი მდიდარი კაცის ასული იყო, მაშასადამე, მან არ იცოდა, თუ რა იყო ნაკლებულება და სიღარიბე, რომლებიც სანახევროდ აუფერულებენ სიცოცხლეს. Იმ გარემოებას, რომ იგი იყო შვილი იმ ოჯახისა, რომელიც დიდ გვარს ეკუთვნოდა, უფრო უნდა გაეძლიერებინა სიცოცხლის სიტკბოება: ვითარცა კეთილშობილს პერპეტუიას, უეჭველია, საზოგადოებაში საპატიო ალაგი ეკავა და ყველასაგან პატივცემული იყო, ხოლო ყოველივე ესა ხშირად შეადგენს ბუდეს ძლიერ სათაკილო მოთხოვნილებათა, რომელთა გულისთვის კაცი ბევრს რასმე გასწირავს. Პირ და პირ შეიძლება ითქვას, პატივ-მოყვარებით განთქმული გმირები: თემისტოკლი, ალკივიადი, ცეზარი ემორჩილებოდენ მიდრეკილებათა, რომლებიც წარმომდინარებდენ მათის საზოგადოების ჰაზრისადმი დამოკიდებულებისაგან. Მართალია, პერპეტუიას ცხოვრებაში არა ერთი-და ორი ჯანყითა და ბურუსით მოცული დღეები იყვნენ: განგებამ განუჩესა მას ეწვნია სიტკბოება ბედნიერი მეუღლეობითი კავშირისა, მაგრამ მცირე ხნით კი — ოცდა ორის წლისა იგი უკვე ქვრივი იყო. Გარნა ვინ მოიფიქრებდა, რომ პერპეტუიას უდროოთ დაქვრივებისაგან უჩნდებოდა ახალი მოთხოვნილება: ის იყო დედა ერთად ერთის შვილისა, რომელიც არამც თუ მის, ქმრის დამკარგველის, ნუგეშს შეადგენდა, არამედ ქმრის მაგიერად ერთი ორად აჯილდოვებდა. Ყველა ამას უნდა დაუმატოთ განათლება, სიმშვენიერე, სიყმაწვილე და საქმიანი მზრუნველობა ჰამისა, რომელიც გათხოვებამდის აჯილდოვებდა მას განსაკუთრებული სიყვარულით, და ეხლა, შემდეგ უბედურების გამოვლისა, გაორკეცა თავის ქალის სიყვარული.

Პერპეტუიას, როგორც კი მან მიიღო ქრისტიანობა, დაუწყო დევნა მთავრობამ და ზიზღით უცქეროდა მას როგორც საზოგადოება ისე მისი მახლობელი ნათესავნი. Ამ ნაირ მდგომარეობაში მოასწრო მას იმპერატორის სევერის 202 წლის უქაზმა, რომლის ძალითაც პერპეტუია, სხვათა მრავალ პირებთან ერთად, უნდა მომკვდარიყო. Იგი შეიპყრეს ყარაულებმა და დააპატიმრეს. Ამ დროიდან იწყება მისი სხვა და სხვა ნაირი წამებანი. ამ ზარდამცემი ანბის შემდეგ პერპეტუიას მამა მაშინათვე საპყრობილეში მიიჭრა თავის ქალთან იმ საიდუმლო განზრახვით, რომ მის ქალს უარ ეყო ახალი სარწმუნოება; მაგრამ პერპეტუიასაგან მამამ მიიღო გარდაწყვეტილი პასუხი, რომ იგი ქრისტიანად უნდა მოჰკვდეს. Ქალის ასეთმა სიტყვებმა ისე გააბრაზა მოსიყვარულე მამა, რომ მამამ კინაღამ არ ცემა თავისს ქალს. Პირველი უნაყოფო ცდის შემდეგ მამას რამდენიმე დღის განმავლობაში არ გაუვლია საპყრობილეში, შეიძლება იმისთვის, რომ მას იმედი ჰქონდა, ეგებ მის ქალს თავისი განზრახვა შეეცვალა. თან და თან ცუდათ ეპყრობოდენ ქალს საპყრობილეში. Მდიდრულ ყოფაცხოვრებას შეჩვეული პერპეტუია ბნელ საპყრობილეს შეხედვაზე შეძრუწუნდა. „Ჰოი საშინელი დღე“, ამბობს იგი თავის წერილებში, „უხილავი უკუნი, მძიმე სუნი და სიცხე ურიცხვ პატიმართაგან, უკმეხი მოპყრობა ჯარის კაცთაგან და ყველა ამეებთან — გულის მომწყვეტელი ფიქრი ჩემს შვილზე. რომ პერპეტუიას მწუხარება შეემსუბუქებიათ, საპყრობილეში მის ნათესავებს მიჰყავდათ ხოლმე მასთან შვილი; შვილის დანახვის დროს, მისი სიტყვით, «საპყრობილე მისთვის სასახლედ იცვლებოდა“, მაგრამ ამ ბრწყინვალე და გულის გამათბობელმა სხივმა დიდ-ხანს ვერ უბრწყინა პერპეტუიას და მალე სამუდამოთ ჩაქრა, რამდენიმე დღის შემდეგ იგი სხვათა შორის წაიყვანეს ჩვენების ჩამოსართმევად, რომლის შემდეგ საუკუნოდ უნდა გადაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეტილიყო საბრალო ქალის ბედ-იღბალი. პერპეტუთამ უკვე იცოდა, რა დღეც მოელოდათ პყრობილ ქრისტიანებს. ლოცვის შემდეგ, ღამე ჩვენებით იხილა მან ოქროს კიბე, ცად აღმყვანი, ხოლო მის გარეშემო ურიცხვი შუბები, ხმლები და ჩანგლები. ეს იყო მათი მოწამებრივი აღსასრულის ცხადი ნიშანი. უნუგეშო მამა მისი ხელ-მეორედ გამოცხადდა საპყრობილეში და თვალ-ცრემლიანმა დაუწყო ხვეწნა-მუდარი თავის ქალს დაეტოვებია „ჯიუტობა“, როგორც ის შეცდომით ეძახოდა პერპეტუთას შეუდრეკელ მამაცობას. მამა ძლიერ გაჭაღარდა და რომ იყო, იმაზე უფრო მოხუცდა. ჩვენთვის გასაგების სიმწარით ეუბნებოდა თავის ქალს: „ჩვენ ხომ თავი აღარ გამოგვეყოფება, შენ რომ რამე დაგემართოს“. ის მის წინ მუხლს იყრიდა, ლოყებს უკოცნიდა, ამასთანავე მას ქალს კი არა ქალ-ბატონს უწოდებდა. „მებრალებოდა მამის ჭაღარა“, სწერს პერპეტუთა ამ შემთხვევის გამო; მაგრამ მას ამაზე უფრო ძლიერი განსაცდელი უნდა გამოევლო. მამასა სურდა ყოველი ღონის ხმარება თავისი ქალი წინანდელ გზაზე დაეყენებია, ამისათვის იგი გამოცხადდა ფორუმში-სამჯაერო ადგილზე და, შვილის-შვილის ხელში მკერი, ემუდარებოდა პერპეტუას, რომ არ გაეუბედურებინა ისა და თვალი მისი ოჯახი. მაგრამ ყველა რჩევა-მუდარზე პერპეტუთას მზადა ჰქონდა ერთი გადაჭრილი პასუხი: „მე ქრისტიანი ქალი ვარ“. ქალს გადუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. მაშინ მამა მისი სასოწარკვეთილებას მიეცა: იგი ბორავდა, თმას იგლეჯდა, სწყევლიდა თავის გაჩენას. პერპეტუთა ყველა ამას ხედავდა და, რასაკვირველია, მამაზე ნაკლებ არ იტანჯებოდა, იმიტომ რომ მისმა დაბნედილმა და მიმკვლარებულმა შეხედულებამ გარეშე მაყურებლებშიაც კი სიბრალული გამოიწვია. თავის მხრით პროკურატურასაც არ გაუშვია შემთხვევა მოელბო პერპეტუთა, უთითებდა რა მამასა და შვილზე. „მე ქრისტიანი ქალი ვარ“, ამბობდა პერპეტუთა. შემდეგ ამისა, გაუპატიურების ხელ-მოსათავებლად, პროკურატორმა ბრძანა მამა მისის შოლტით ცემა, რაც თითქმის განკითხულის თვალის წინა სრულდებოდა. შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, თუ რა ძნიმე და აუტანელი იყო პერპეტუთისათვის მზერა მამა მისის სამარცხვინო სასჯელის. ლერწმით ცემას, როგორც თვით მოწამბს, თითქოს და თავის თავზე გრძნობდა; დასასრულ ბედი ქრისტიანებისა და მათ შორის პერპეტუთისაც სამუდამოთ გადწყდა: ისინი წამების დღის მომლოდინენი საპყრობილეში დაბრუნდენ არა მარტო დამშვიდებულნი, დაწყნარებულნი, არამედ მხიარული და ბედნიერი, რაც მათს სახეზე ცხადათ იყო აღბეჭდილი. წამების წინათ მოწამეები სულ არ ჰფიქრობდენ მომავალს ტანჯვებზე: მათს საგონებელს ცოცხლად დარჩენილი ქრისტიანები შეადგენდენ; გამოთხოვებისას ისინი მზრუნველობით ამოთხილიდენ იმათ: „სარწმუნოებაზე მტკიცეთ სდგომით, ერთმანეთი გიყვარდეთ და ჩვენი წამებით არ დაბრკოლდეთ“.

მდგ. ძ. ფოფხაძე.

ჩემი სკოლა.

1873 წ. მე მქონდა სამრევლო სკოლა ჩემის ხარჯით გაწყობილი ჩემს მრევლში—ბოსტანაში. ამ სკოლაში სწავლა მიდიოდა სამინისტრო სკოლების პროგრამით. გამოცდითაც ამ სკოლის შაგირდებს ყოველს წელს სახალხო სკოლების დირეკტორი ან ინსპეკტორი სცდიდნენ რადგან იმ დროს სამრევლო სკოლების ხსენებაც არ იყო. შეიძლება სხვაგან იყო სადმე, მაგრამ რაჭაში მაინც არ ყოფილა არც ერთი სამრევლო სკოლა; ხსენებული სკოლა არსებობდა 1881 წლამდე, მაგრამ 1880 წელს მე მღვდელთ-მთავარმა ბლაღოჩინობის თანამდებობა მომანდო და ამ თანამდებობასთან მრევლის მოვლა და სკოლის მასწავლებლობაც ვეღარ შევიძელი, ამიტომ სკოლას თავი დავანებე, ხოლო ბლაღოჩინის თანამდებობას ვასრულებდი 1891 წლამდე, ამ წელს ამ თანამდებობას დავეთხოვე და ხელახლავ შეუდექი სკოლის საქმეს, ვიყიდე სახლი და რაც წინანდელი სკოლის მოწყობილება მქონდა, ამას კიდევ მიეუმატე რამეები და 1892 წელს დაიწყო სკოლაში უფასო სწავლა ყველა წოდების და ორივე სქესის ყმაწვილებისათვის. ეხლა მინდა მკითხველს გავაცნო ეს სკოლა. მაგრამ მე არ შევეხები მას, თუ როგორ წარმატებით მიდის ამ სკოლაში სწავლა, რადგან ეს ბაქიობა იქნებოდა. მე მინდა აღვწერო შინაგანი და გარეგანი წეს-წყობილება სკოლისა. და ყველას ნება აქვს ჩემი შეცდომა გაასწოროს.

„ჩემ სკოლად“ მისთვის უწოდებ ამ სკოლას, რომ არც მისს დაარსებაზე და არც შენახვაზე შემწე არავინ მყოლია და არც დღეს ყავს. სასწავლებელში არსებობს შემდეგი წეს-წყობილება: სასწავლებელში დაწესებულია „დეჟურნობა“ ყმაწვილებისა, ყოველ დღე ორ-ორი მორიგე მოწაფეა, ერთი მათგანი მესამე განყოფილებისა და მეორე უნცროსისა; ამათი ვალდებულება ნაშვადღეს, როცა ყმაწვილები სახლში წავლენ, სკოლა დაწმინდონ; მეორე დღეს სხვა მოწაფეებზე ადრე მოვიდნენ, სკოლა დასწმინდონ. როგორც მასწავლებლის შემოსვლის დროს სკოლაში ეგრეთვე ყოველ გაკვეთილის გათავებისას სკოლის ზარა დარეკონ, მასწავლებელის შესვლის დროს ხატის წინ წმიდა სანთელი აანთონ; ამ დროს შევა მასწავლებელი სკოლაში და ყველა იქ მყოფი, რასაკვირველია, ფეხზედ წამოდგებიან, მიიკცევიან ხატისკენ, როგორც თვითონ მასწავლებელი ისე მთელი კლასი ლოცვას წარმოსთქვამს, ერთ დღეს რომ „მეუფეო ზეცათას“ მეორე დღეს ყოველად სახიერო უფალო გარდმოგვევლინე.... გასვლის დროსაც აგრეთვე ყველანი ლოცვილობენ; ერთ დღეს რომ „ღირსაარს, მეორე დღეს „ვმადლობ შენ შემოქმედო.... დასვენების დროს, თუ გაზაფხულია, მოწაფეები ხან თამაშობენ, ხან ბოსტანს მუშაობენ და ზამთარში შეშას ხერხავენ; ეს მუშაობა თავის შესაქცევათ-თამაშობათ მიაჩნიათ ყმაწვილებს. სამინისტრო სკოლებში სულ სხვა წეს-წყობილებაა; იმათ ჰყავთ მოსამსახურედ „სტოროჟი“, რომელიც ყველაფერს აკეთებს და ყმაწვილები ან ტყუილა არიან, ან ცელქობენ; ამის ბრალი უნდა იყოს, რომ მშობლები ხშირად სჩივიან, რომ ჩვენს შვილებს შკოლაში რომ შევიყვანთ, მას აქეთ სახლში ვეღარაფერს ვაკეთებინებთო, თითქო წერა-კითხვასთან უქმად ყოფასაც სწავლობენო. ჩემის აზრით ამისი ერთი მიზეზთაგანი ის უნდა იყოს, რომ სამინისტრო სკოლებში მოსწავლე ყმაწვილების რიცხვი კლებულობს, განსაკუთრებით თუ სამინისტრო სკოლის სიახლოვეს, სამრევლო სკოლა არის. ყმაწვილები წერა კითხვის სწავლასთან ოჯახურ საქმეებსაც უნდა მივაჩვიოთ.

ეხლა სკოლიდან გარდავიდეთ ეკკლესიაში: კვირა-უქმ დღეს მაგირდები მიდიან ეკკლესიაზე. როგორც ცისკრის დროს ეგრეთვე წირვაზედაც. შეელიან თუ არა ეკკლესიის კარებში, მაგირდები წარმოსთქვამენ მოკლე ლოცვას: „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანი ვცე ტაძარსა წმიდასა შენსა“. ეპიკლისი გათავდება და მღვდელი შეუდგება წირვასმივა, აიაზრის წყალს ისხურებს და მაგირდებიც ყველანი იქ არიან, ისინიც მივლენ სასხურებელად და წარმოსთქმენ აქაც ლოცვას «მასხურო მე უსუბითა და გამწმიდე მე, განბანო მე და უმფროს თოვლისა განსვაპეტაკნე», მღვდელი შეგ საკურთხეველში, აქაც ზემოთ თქმული ორი ყმაწვილი შეჰყვება მღვდელს და შემოსაზედ ეხმარებიან მღვდელი რომ შემოსვას გაათავებს, სტაროსტა მიუტანს მღვდელს მაგირდის სტიხარს, ჯვარს გარდასახავს მღვდელი, ხოლო უფროსი მაგირდი ემთხვევა ჯვარს და ჩაიცვამს; ეს ყმაწვილი მთელ წირვაზე სტაროსტის ვალდებულებას ასრულებს და უნცროსი უყურებს და მისგან სწავლობს მიხრა-მოხრას და სხვა ვალდებულებას, რაც საჭიროა. ეს სტიხრის ჩაცმა და მეორე უნცროსი განყოფილების ყმაწვილის ყურება მორიგისათ არის მთელ კლასში, მაგრამ სტიხრის ჩაცმა გარდამიწყვიტა ჩემის თხოვნისაებრ ნეტარ ხსენებულმა ყ-დ სამღვდელო გაბრიელმა მარტო საუკეთესო მოსწავლე ყმაწვილებისთვის. ვისი რიგიც არის კვირა უქმეზედ ეკკლესიაში სტიხარი ჩაიცვას, იმან სამოციქულოც უნდა წაიკითხოს იმ დღეს, რასაკვირველია წინ და წინ მოამზადებს და მრწამსიც ამან უნდა სთქვას, აგრეთვე ყ-დ სამღვდელოს გაბრიელის ქადაგებაც იმ დღეს განიცადეზედ წაიკითხოს, მეორე ყმაწვილი კი მარტო „მამაო ჩვენოს“ იტყვის, რადგან ახალი შესრულია და მეტი არ იცის. წირვა გათავდება, მღვდელი ჩამოილოცავს თუ არა, სტიხრიანი ყმაწვილი გამოიტანს დატეხილ სეფისკვერს ლაგრნით და ამბიონის ქვეით გვერდით მოუდგება მღვდელს, ჯერ სკოლის ყმაწვილები მივლენ, ჯვარს ემთხვევიან და იტყვიან „ჯვარსა შენსა თაყვანსა ვსცემთ, მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ;“ შემდგომ მიიღებენ სებისკვერს, ასრე ხალხიც. როგორც ამ წყობილების დასაცველად და აღსასრულებელად „დეჟურნების“ მხრით ეკკლესიაში, ისე მისთვის, რომ არა ვინ იცელქოს სკოლაში, არის დანიშნული ის ყმაწვილი, რომელიც ყველა მაგირდებზედ უკეთესია როგორც ნიჭით ისრე ყოფა-ქცევით და ჰქვია მას „სტარში“. თუ რამე უწესობა მოახდინეს ან დეჟურნებმა და ან სხვა მაგირდებმა ან სკოლაში და ან ეკკლესიაში, ეს ყმაწვილი გაასწორებს საქმეს და თუ ვერ შეიძლო, მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუცხადებს. როგორც სტიხრის ჩაცმა, ეგრეთვე სამოციქულოს და ქადაგების წაკითხვა ძლიერ ახალისებს ყმაწვილებს და ხალხსაც უხარია....

სკოლაში გვაქვს ჩემისავე ხარჯით დაწესებული წიგნთსაცავი როგორც შაგირდებისათვის ისე მრევლისათვის და გარეშე პირების სასარგებლოთაც, რომლიდამაც შეუძლიათ წაიღონ წიგნი თითო კვირაობით უფასოთ, წაიკითხონ და შემდგომ დაუბრუნონ კუთვნილებისა მებარ. აქ არის 88 სხვა და ხხვა და სულ 200 წიგნი, ღირებული 50 მანეთად. ამ წიგნების განმრავლებაში კი მონაწილეობა მიიღეს მღვდლის შვილებმა ერთმა გურიელმა აპოლონ წულაძემ და მეორემ თფილისის სემინარიის შაგირდმა ბიკტორ შარაბიძემ. როგორც სკოლის შენობა, ისე შიგნი მოწყობილობა დაჯდა 477 მანეთი. სკოლაში განწესებულია მასწავლებელად ფერშლის სკოლაში საქებად კურს დამთავრებული ვასილ შარაბიძე უჯამაგიროთ.

სკოლაში შემოჰყავთ ყმაწვილები არა მხოლოდ ამ სოფლის მკხოვრებთ, არამედ გარეშე სოფლებიდამ და სხვა საზოგადოებიდამაც, უმეტესად კეთილშობილებს და სასულიერო წოდების კაცთა, რადგან ამ უკანასკნელთ სამინისტრო სკოლებში ხუთ ხუთ მანეთს სთხოვენ ყოველ წელს სწავლისათვის.

შკოლას აქვს შემდეგი ზედ წარწერა: «ალექსის სკოლა საჩუქრად ყმაწვილებს 1892 წ.»

მღ. ალ. შარაბიძე.



საქართველოდან

ძველი დროდან თავგადასავალი,

(საისტორიო მასალა).

(გაგრძელება *)

აძა ვანძობა რუსისა.

მეფემან არა ინება მოკვლა რუსისა თანხმობით,
ბრძანა მოდ ება ოქროსი, ვერცხლისა სინით და გობით,
რუსი შთაცსვეს ნავშიგან, გაგზავნეს არ დია მკობით,
გავიდა კონსტანტინეპოლს, მუნ მახმედ იქმნა შვენებით.

აროდეს არა იქმნების ცუდისგან კარგის ყვარობა,
ბუც სწავლულ იყოს, სიბრძნითა აქენდეს მას გულის მყარობა,
თითონ არ არის, იცოდე, არ არგებს მეფეთ გვარობა,
ვირსა შეშვენის კურტანი, არც ცხენთა აკაზმულობა.

მოშორდა რუსი წარვიდა, სტამბოლად იქმნა რებული,
შემდგომად მისა მეფეი იშვებდა განდიდებული,
სძღვნობდიან ძღვენსა ყოვლ მხრიდამ ხანები შეშინებული,
ეტრფოდიან ყე თამარსა, იყო უზომოდ მკობილი.

რადგან აქვნდა თამარ მეფეს ბანოვანთა თავადობა,
ეგრეთ ყოვლის ყოფა-ქცევა და სიბრძნისა თამამობა,
დიდათ იყო მშვენიერი, ტიტული აქვს მეფის მზობა,
მას ეტრფოდნენ სხვა და სხვანი, ვის ხელმწიფედ აქვნდა ხმობა.

მოვიდნენ სამნი ძმანები, ძენი ოვსეთის მეფისა,
მხნენი, უზომოდ მამაცნი, არშიყნი თამარ მეფისა,
ნუ თუ ჩვენგანი თამარმა გვიყოლოს, ღირს გვყოს ხლებისა,
მათ ცუდი ექმნათ განზრახვა, დრო შეხვდათ გაწბილებისა.

მეფემან ნება არა სცა. არცა წადილი გულისა,
აწრვიდნენ შეწუხებულნი და ტყება აქვნდათ სულისა,
ერთსა მათგანსა სურვილით სიკვდილი მიხვდა გულისა,

*) იხ. „მწყემსი“ 17 № 1896 წ.

დაფლეს ნიკოზსა და სხვათა წასვლა ჰყვეს მტურავლებისა.

თუმცა ვსთქვა სხვანი მეფენი, მეფეთა ზედა
მფლობელნი,
მშვენიერ მხნენი, მდიდარნი და სახელისა მკრებელნი,
ბევრნი მოვიდნენ საქრმონი, თამარის შეყვარებელნი,
ვერ ვინ მიიღო წადილი, შეიქცნენ გაწბილებულნი.

კვალად სწუხდენ ქართლოსელნი თამარ მეფის
უძეობას,
ვათუ შ:ვრთოთ კვალად ვინმე, ისიც შეხვდეს ღვთისა
გმობას,
თუ არა და ქართლოსელნი მიეხვდებითო უმკვიდ-
რობას;
მოიპოვეს ბაგრატიონთ დავითს იწოდს გვაროვნობას.

დაჰმუნება და შეწუხება ქართველთა მეფის თამარის უძეობისათვის და უმკვიდრობისათვის მეფისა: მაგრამ ჰპოვეს ძე, დიმიტრი მეფის შვილის შვილი, რომელიცა ზემოთ ვახსენეთ დიმიტრი მეფე, დავით, რომელიცა აღეზარდა რუსუდანს, მამიდასა თამარისსა და იყო შვილის შვილი ოვსეთს, ვინადგან რუსუდან მითხოვებულ იყო ოვსთა მეფისათანა. და იყო დავით მშვენიერებით სრული და ახოვანი და მოსავი ღვთისა; და მოიყვანეს იგი ქმრად თამარისა; ხოლო ესე დავით იყო ნათესავი თამარ მეფისა დედიდგან მესამე და მამიდგან მეხუთე, და შეჰკადრეს თამარს შერთვა მისი ქართველთა, და მეფემან თამარ ნებასცა, და უქმნეს ქორწილი ვითა შვენოდა მეფობასა მათსა.

შეჰკადრეს ერთა ქართველთა მეფესა განდიდებულსა,
ეგრეთვე თვისმან მამიდამ, რუსუდან თამარს შვებულსა:
აჰა, ინება ღმერთმანო, შენ მისდა შეეყრებულსა,
გვაროო ბაგრატიონთა, დავით შეგკადრებთ ქებულსა.

ღმერთსა თუმცა შენდა სწადდა სხვა გვარისა
შენი ქრმობა,
ბევრნი შენნი მეტეფრენი მოკაცვიდნენ, აქნდათ
მკობა,
მეფის ძენი, მშვენიერნი, მამაცობით გულმყარობა,
ვარდი დაშთა უფრჟკნობელი, ბულბულთა ხედათ
დღეთა ზრობა.

აჰა, იუღლე დავით და სოსლან ჩემგანვე ზრდილობით,
რადგან მეფეთა შვილია, ბაგრატიონთა ჩრდილობით,
შენი საფერი ყოვლ რიგად, შენივე გვარი ხმულობით.

მეფემან კვალად მამიდას ნება სცა ქართველელ-ფრენ-ლობით.

ქორწილი თამარ მეფისა და დავით სოსლანისა, რომელიცა იყო ძის ძის ძის ძის ძე დიმიტრი მეფისა. იგი დავით აღეზარდა მამიდასა თამარისსა ოვსეთს ჩუმათ და რო მოიწია დავით, მაშინ იცნეს ყოველთა გიორგიელთა, და ზრახეს ჰყვეს მისთვის, და მოიყვანეს მეფისა თამარისა საქმროდ, და შეაუღლეს მეფესა თამარს, ვინაიდგან თამარს მემკვიდრე არა ჰყვანდა, და სოსლან დავით იყო დიმიტრი მეფის შვილის შვილი და ბაგრატიონი,

დასწერეს ჯვარი მას ქალ-ყმას, ნება აქვთ ღვთისა ზენია,
მეფესა თამარს გვირგვინი შვენიან სინაზენია,
მათთანა მდგომთა დიდებულთ უშვენისთ იგი მზენია.
ოდეს სცნეს მტერთა ამბავნი, იქმნენცა ამაზრზენია.

მერმე მოიღეს ნადიმი, შეეკაჭმნეს ლხინი – პურობა,
დიდებულთ სარდალთ, სპასპეტთა, აზნაურთა ჰყვეს
მკულობა,
თავადთა ამერ-იმერთა Uერ-კახთა შემოყრილობა,
პატრიარხს ეპისკოპოსთა მუნ შექმნეს დიდი ლხინობა.

მოიღეს ოქროს ჯამები, ზედან ვერცხლის სინს
წყობილნი
მრავალი სურა თვალითა მარგალიტითა მკობილნი,
სმიდენ სასმელსა ამოსა ქართველნი ლხინის ნდომილნი,
სიძესა სძალსა ლოცვიდნენ, თქვენით ვართ განდიდებულნი.

მუტრიბნი, ჩანგთა დამკვრელნი, უტევენ ტკბილსა სმასადა,
ეგრეთვე მოთამაშენი ქალ-ყმანი გასაკვირსადა,
იმერთ გურიის ხმა ტკბილნი იტყვიან გალობასადა,
ქართველნი ძველად ძველსავე ჰყოფდენ გალობის თქმასადა.

კვალად მოვიდნენ ტფილისსა, იქმოდნენ ლხინსა შვებასა,
ვერა ჰპოვნდი მუნ კაცსა, ვერც დედით შეწუხებასა,
გლახათა განამდიდრებდენ, ქვრივ-ობოლთ უქმნენ მწებასა,
არცა მე ძალმიძს მის დღისა, ვერც სხვანი ჰკადრებთ ქებასა.

რა მეფე ლხინსა-განცხრომას ჰყოფდა ტფილისსა იანად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა კაცი შიკრიკი კარნუმით, არა გვიანად,
მან მოახსენა მეფესა ამბავნი შესატყვიანად,
რუსი მოვიდა კარუნსა ქალაქსა დიდის ხმიანად.
კლარჯეთისა ერისთავმა, თქვენ მიერვე სახელობით,
ლიხს იქითელთ ეგრეთ მესხთა, დადიანმა თქვენის გმობით,
შეცაფიცეს რუსსა მთვრალსა, ჩვენ გუოთ მეფეთ დიდის მკობით,
მოიყვანეს ქუთაისსა, მათ ლახვარი გვიქმნეს სობით.
ვინც რუსთა მასთან მივიდნენ, ყოველნი ზემო თქმულები,
ყოველთა მეფის თამარის წყალობა აქვნდათ ჩრდილები,
ეგრეთვე თამარისავე და მისგან განაზრდილები,
მათ უღალატეს მეფესა, სხვანი ვინ გაიმტყუნები!
ქუთაისს დასვეს რუსი და მუნიდგან ჰყოფდენ რბევასა,
თამარ ამისი მსმენელი ჰყოფდა Uერ-კახთა წვევასა,
ეგრეთ ქართველთა, ლომ-გულთა სომხითართ შემოკრებასა,
წარგზავნა მათდა საბრძოლად მიხადონ შენანებასა.
დადიან ბედიჟლმან და ჰყო თამარისა ბრძოლანი,
მაგრამ ღვთის მადლმან შეუქმნა მასცა მის ჯართა ძრწოლანი,
მყისვე შეჰკივლეს Uერ-კახელთ, მეგრელთა შეჰქმნეს ბრკოლანი,
სულ აბნევინეს ლომისა მარცვალი და კაკალნი.
ქართველთ Uერ-კახთა სარდალი თორელი გამრეკელია:
ეჰა, ქართველნო, აწ თქვენგან შეტევის არის დრონია!
მეგრელნი ველარ დაგვიდგენენ, ომია მოსანდომია,
ქართველთ შესძახეს, შესჯარნეს იჭირეთ ვითა თხებია.
დაიშალა მათი რჩევა და რუსისა ეშმაკობა,
კვალად ღმერთმა თამარსავე მიანიჭა იგი მზობა;
რუსი კვალად განუტევა, ექმნა ყოვლის განქარვება,
მისთ მუხანათთ განუჩინა ზოგს სიკვდილი, თვალხდინება.
მოიქცნენ გამარჯვებულნი ქართველ-Uერ-კახნი ყველნი,
მოდიან დამნაშავენი მეგრელ-მესხ-კარუნელნი,
თამარს ვედრიან მუხლ მოყრით და ყელსა ჰკიდან წნელანი,
მეფეო, მოგვეც შემოკოდეთ შენდობით გვიქმენ შველანი.
მეფემან თამარ შენდობა უქმნა წყალობა დიადი,
კვლავ ნუღარა იქმთ ამ საქმეს, ნურცა ხართ აგრე ზვიადი,
მერმე მოკრიბა ლაშქარნი, მათ საუნჯე სცა ფრიადი,
ღმერთსა შესწირა წყალობა, მე შენგნით გაცავსიანდი.
აქენდა ღვთისაგან წყალობა თამარ მეფესა სვიანსა,
შექცევა, ლხინი, გაცემა არ აკლდა განგებიანსა.
თუ ვინმე მტერი გაუჩნდის მას ბრძენსა, ენა ჭკვიანსა,
იკით, ვინ უდგეს მბრძოლ მეფეს გვარობით დავითიანსა!
ილაშქრებდა სოსლან დავით, მტერთა ექმნა ზარის ცემად,
თან ჰყვებოდნენ ლომნი კახნი და ქართველნი მამაცებად,
იმერლები გულად მყარნი, არ ძაბუნად არცა მხცებად,
თუშ-ფშაველნი არაგვითურთ, ხევსურები ციხის მღებად.
ამ დროს გინდგა გუზან გულით, ორგულობდა მეფე თამარს,
წარიტანა ტაოელნი, ვაშლოვანთა არტყამს ქამარს,
მცნობი თამარ სოსლანს უსევს, დიდი ჯარით გასაკმარავს,
შეიპყრობენ ცოლშვილითურთ, გუზანს ბედ-შავს უქმენ სამარს.
მობრუნდნენ მხნენი ქართველნი, სოსლან არს წინამძღოლია,
ეგრეთვე ამერ-იმერნი, ვითარცა ცისა ხომია,
თამარ არს გახარებული, თვის ჯარის ნახვად მდომია.
ღმერთსა შეყარნა ხელნი და შენი წყალობა მფენია.
როს გამოხდა ჟამი და დრო მეფე თამარ ტანით მძიმობს,
ღმერთი მისცემს წყალობასა, თუცა კაცი თავსა იცნობს,
ღვთისა მიერ წყალობასა მყისვე შინა თამარ იგრძნობს,
აწ მას მისცა ძის წყალობა, მეფე ჩუმათ გულით ლხინობს.
სოსლან ხარობს თამარ მეფის თვის მეუღლის ორსულობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიელთ სიხარული უცხოთ მისცემს განკვირ-
ბას,
მოიწია დრო შობისა, თამარ ვერ ჰყოფს ტანის
ზრობას,
შვა ძე პირმშო შვენიერი, ვინ მეორე იქმსო მზობას.
უწოდეს ყრმასა გიორგი, ლაშა ზედ დადვეს
სახელად,
ეხარის სოსლან დავითსა მამასა ყრმისსა სახელად,
გიორგიელთა ყოველთა მემკვიდრეედ ჰხადეს სახელად,
თამარ სხვას წელსა ქალი ჰშო, რუსუდან არქვეს
სახელად,
გამოხდა ხანი და წელი ქართველნი იყვნენ
შვებასა,
აწ სვესა გიორგისაზე ჰყოფდენ მეფესთან კრებასა,
გავილაშკრებთო ბარდისკენ, ვიქმთო ჩვენ ტყვეთა
ტყენასა,
სოსლან უძღვს ჯართა ყოველთა, იქმს სხვათაც შე-
მოკრებასა.
მოსტყვევნეს ბარდის ქალაქი, რანი ჰყვეს აოხ-
რებულნი,
მობრუნდნენ უკუნ მოიქცნენ საქონელ ტყვითა ვსე-
ბულნი,
კვლავ განილაშქრეს მასვე დროს, აზრუმს მივიდნენ
რებულნი,
აწ კარნუნელნი მოსტყვევნეს უზომოდ გამდიდრე-
ბულნი.
აღივსნენ ქართლოსიელნი თამარ მეფისა ჯარები,
ვის მრავალი ყავს ტყვენიდ, ვის ათას, გინა ასები,
ოქრო ვერცხლები მრავალი ნივთები დაუფასები,
სურმაინელნი ქართველთა შეებრძვნენ გულად ნასები.
მობრუნდნენ გამარჯვებულნი სოსლან დავითად
ხმოვნია,
ეგრეთვე ქართველთ ჯარები თავად აზნაურ სრულია,
გამდიდრებულნი ყოველნი არყინ არს დაკლებულია,
მოასხეს ტყვენი მრავალნი ცოლშვილით აკლებულია.
მეფე თამარ ჯართა თვისთა უყოფს ლართა
მიცემასა,
უბრძანებდა გიორგიელთ მიეცითო ლხინ-შვებასა,
მაგრამ ტყვენი სადღეგრძელოდ ბრძანებს ჰყოფითო
გაშვებასა,
ძისა ჩემის გიორგასთვის გაზდისთვის გახარებასა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

გამოვიდა გასასყიდლად ბ. საბანინისაგან გამო-
ცემული ხრომოლიტოგრაფიული მხატვრობა, «სა-
ქართველოს საქთალიკოსოის ეკკლესიის დიდება». ეს
მხატვრობა სიგრძით არის ერთი ალაბი და სიგანით
თორმეტი გოჯი. ბ. საბინინი სწორეთ მადლობის
ღირსია, რომ კარგად გადმოაქვს ჩვენი ეკკლესიის
მხატვრობათა და ხატებიდან სხვა-და-სხვა სახეები.
ეს მხატვრობა ბ. საბინინს გადმოუღია სიონის ტა-
ძარში დასვენებული ხატისაგან, რომელიც მარჯვნივ,
სამხრეთის კარებთან ასვენია. ჩვენის აზრით, ბ. სა-
ბინინი რომ ამ მხატვრობაზე აწერდეს: ეს მხატვრობა
გადმოღებულია ამა და ამ მხატვრობიდან და არა ჩემი
შეთხზულია უმეტესად გავრცელდება ხალხში.

სასურველია, რომ ეს მხატვრობა ჩვენში გავრ-
ცელდეს. ფასიც არ არის დიდი, რომ მისი ყიდვა
ვერავინ შეიძლოს. სულ ღირს მანეთი და ერთი აბა-
ზი. თვითონ ბ. საბინინისაგან რომ გამოიწეროს კაცმა,
ვგონებ, მაშინ მანეთად დაუთმოს მყიდველს.

* * *

ქუთაისის მწვანე ყავილის ახალი ეკკლესიის
აღმაშენებელი კომიტეტი უმორჩილესად თხოვს
ყველა კეთილმნებებელ შემწირველთ, რომ შემწეობა
აღმოუჩინონ ამ კომიტეტს, რათა მათ მიერ დაწყე-
ბული ეკკლესიის შენება დროიანად მოთავდეს.

* * *

ამას წინეთ უწმინდესი სინოდის წევრთ, სასუ-
ლიერო აკადემიათა რჩევას და ზოგიერთ ეპისკო-
პოზსთ გაეგზავნათ განსახილავად პროექტი, რომე-
ლიც ეხება საშუალ სასულიერო სასწავლებლებში
ცვლილებათა შემოღებას, აი, უმთავრესი ამ ცვლი-
ლებათაგანი: 1) კლასიკურ ენათა გაკვეთილების
რიცხვი სემინარიებში და სასულიერო სასწავლებ-
ლებში შესამჩნევათ უნდა შემცირდეს; ამ ენებისა-
თვის მხოლოდ ერთი მასწავლებელი იქნება; უნდა
გადიდდეს რიცხვი ღვთისმეტყველურ საგნების გაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთილებისა, სავალდებულოთ უნდა დარჩეს მკურნალობის სწავლება და აგრეთვე უნდა დაწესდეს საეკლესიო უფლების, საეკლესიო არქეოლოგიის და სასოფლო მეურნეობის კათედრები. 2) საღმრთოწერილის და სპეციალურ ღვთისმეტყველურ საგნების მასწავლებლებათ უნდა იყვენ სამღვდელო პირნი; სამღვდელო პირნიმე უნდა იყვენ სემინარიების ინსპექტორები და ზედამხედველნი თავის თანაშემწეებით სასულიერო სასწავლებლებში. 3) სემინარიის ეკლესიებში ყოველ დღე უნდა იყოს წირვა, რომელზედაც უნდა ესწრებოდენ რიგ-რიგათ მაღალი კლასების შეგირდები. 4) სასულიერო სასწავლებელთა სარეფეზიოთ უნდა გაგზავნილ იქმენ სამღვდელო პირნი, და არა საერო როგორც ეს დღემდის იყო ხოლმე.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მღ. დიმიტრი გუ—�ს.

ქრისტიანული კანონით ნათესაობა მაშინ არის ცოლ-ქმარს შორის, თუ ქრისტიანები არიან; ყველაფერი ცოდვა მიეტევება კაცს მონათვლის შემდეგ.

თუ მედავითნეს თავისუფლება აქვს თავის სამრევლოში, მაშინ შეუძლია მოეხმაროს მახლობელი მრევლის მედავითნის მაგიერ, თორემ ასი ვერსით მოშორებულ სამრევლოში როგორ შესძლებს მოხმარებას, ისე რომ თავისს თანამდებობას არ მოაკლდეს? დეპუტატათ სამღვდელო კრებაზე ირიცხება ის, ვინც ათი კრებულისაგან არის არჩეული. ბლაგოჩინს ნება არა აქვს დეპუტატის არჩევისა. ბლაგოჩინს კი არა, არავის არა აქვს ნება საზოგადოებაში და თუ გინდ ცალკე ოთახში, საქმით შეურაცხება მიაყენოს მდვდელს.

უცნობ პირს.

თუ როგორ უნდა აგმიოს მდვდელმა აღდგომას, ეს ცხადათ არის განმარტებული საეკლესიო წიგნებში. არ შეიძლება სასიძოს გვირგვინის კურთხევის დროს ქუდი ეხუროს თავზე. სახარება გვირგვინის კურთხევისა იქ უნდა წაიკითხოს, სადაც ანალოგია დგას სასიძოს და სასლოს წინ. პრიჩეტნიკს სახალხოდ არ შეუძლია მდვდელს რაიმე შეცდომა გაუსწოროს. წესის აგების საკითხავები და საგალობლები შეუძლია წაიკითხოს მთავარმა ან მედავითნემ, გარდა იმ წასაკითხავებისა, რომელიც მდვდელმა უნდა წაიკითხოს

ლაზრობის დღეს, დიდხუთშაბათს და დიდ შაბათს ეკლესია დღესასწაულობს. ამ დღეს რიგია, რომ ყველა დაესწროს წირვა-ლოცვაზე ეკლესიაში და ამ ნაირად უნდა იუქმონ. პარაკლისსზე წასაკითხავი სახარება ეკლესიაში იქ უნდა წაკითხონ, სადაც პარაკლისის შემსრულებელნი დგანან, და არა ტრაპეზში. საეკლესიო საბუთების შედგენა მედავითნეთა მოვალეობაა, მაგრამ მდვდელი პასუხს აგებს უკანონოდ ამ საბუთთა შედგენისათვის.

ორი და მეტი ბავშის მონათვლაც შეიძლება ერთ ემბაზის წყალში. საზოგადო ლოცვები ერთად წაიკითხება და თითოეულისათვის სათქმელი, სადაც ბავშების სახელები მოიხსენება, ისინი ცალ-ცალკე, მაგალითებრ: «გამოვედ ამისგან», «იცხებს მონა ესე», «ნათელს იღებს მონა», ბეჭედი მონიწეებულ არს; «განათლებულ ხარ, მირონცხებულხარ», მოიკვეცს". ეს სიტყვები თითეულს მოსანათლავს ცალცალკე უნდა ეთხრას. მდვდელს არ შეუძლია ეკლესიის ფასით გამოწერილი ქურნალი არ მ-სცეს წასაკითხავად მედავითნეს.

სანამ ბარძიმის დაწმედას არ გაათავებს მდვდელი, მანობამდისინ მას არ შეუძლია პურდვინის მიღება.

წერილი რედაქციისადმი,

«მ. რ! ამ წლის წარსულს მაისის თვეში ქალაქ ქუთაისში ჩემის ექიმობისა და გაჭირვების დროს ავათმყოფობისა გამო, მე მივიღე ფულად შემწეობა ზოგიერთთა ჩემთა თანა მოძმეთაგან და ზოგიერთ საეროწოდების პირთაგან. აი ეს პირები: ბლაღოჩინმა ვლადიმირ ბოჭორიშვილმა 20 მანეთი, ბლაღოჩინმა მღვდელმა კალისტრატე გაბიანმა 3 მანეთი, ბლაღოჩინმა სვიმონ ქურციკიძემ 5 მანეთი, მღვდელმა ლუკა ხვადაგიანმა 5 მანეთი, მღვდელმა დავით ლევკაშელმა 3 მანეთი, მღვდელმა ბართლომე ჩაჩხიანმა 3 მანეთი, მღვდელმა ანტონ ქურციკიძემ 2 მანეთი, მღვდელმა ანთიმოზ ფრუიძემ 2 მანეთი, მღვდელმა პორფირე გელოვანმა 2 მანეთი, მღვდელმა დავით ქარსელიძემ 2 მანეთი, მღვდელმა გიორგი ყიფიანმა 1 მანეთი, მღვდელმა სამუილ დაშნიანმა 1 მანეთი, მღვდელმა ილარიონ გელოვანმა 1 მანეთი, დიაკონმა იოვანე მეფარიძემ 1 მანეთი, მედავითნე იოსებ თვარაძემ 1 მანეთი. მედავითნე გიორგი გოგავამ 1 მანეთი, მედავითნემ ალექსი ჯანჭარაძემ 1 მანეთი, აზნაურმა ნარიმან ცხვედიანმა 2 მანეთი, აზნაურმა თეოფანე ცხვედიანმა 5 მანეთი, აზნაურმა ალექსი ყიფიანმა 1 მანეთი, მოვაჭრე გლეხმა მარკოზ ლეკიშვილმა 10 მანეთი.

უმორჩილესად გთხოვთ, მამაო რედაქტორო, ადგილი მისცეთ თქვენს პატივ-ცემულს გამოცემაში ამ ჩემს პატარა წერილს, რომ თქვენის გაზეთის საშვალებით დიდი მადლობა გამოუცხადო მათ ესრეთის ძმურის და მამაშვილურის სიყვარულისა, თანაგრძნობისა და პატივის ცემისათვის; იმათ სწორეთ აღასრულეს ჩემზედ წმიდა სახარების სიტყვები: «სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე» და მასთან დიდათ დამავალეს მათი კეთილი გული და პატივისცემა.

ღმერთსა ვსთხოვ ძმური სიყვარული და კავშირი, თანა გრძნობა და პატივის ცემა, ერთ სულობა და ერთ გულობა მეც გამეწიოს ამ კეთილი კაცებისათვის.

ბლაღ. მღვ. ნიკ. ფრუიძე.

რედაქციის პასუხი.

მღ. ნ. ბაკურაძეს. მოციქულებს და მისიონერებს რომ იმ წესით ეხელმძღვანელებით, რასაც თქვენ ურჩევთ მართებლობას, ძლიერ ცოტას მოაქრისტიანებდენ. კაცი რომ მოინათლოს, მისთვის უნდა აყარო იგი და სხვაგან გადაასახლო?! ან ერთი რომ მოინათლოს სოფელში, იმისთვის მთელი სოფელი გადაასახლო?! თექსმეტი წელიწადი თუ მღვდელი არ უნახავს ქრისტიანს, რა გასაკვირველია, რომ იგი გადარჯულდეს... თქვენი აზრი წინაამდეგია ჭეშმარიტი მისიონერობისა და ამიტომ არ იბეჭდება ის სტატია, რომელშიაც ეს აზრია გატარებული.

აბაშეთის მღვდ. ყველა მღვდელს კურთხევის დროს ერთნაირი მადლი ენიჭება საიდუმლოების შესრულებისათვის. ამისათვის დეპუტატათ აირჩევენ ვინმე მღვდელს, თუ მოძღვრათ, ამით მას განსაკუთრებული მადლი არ მიენიჭება. თუ ვ. ფოფ—ძე ამტკიცებს, რომ მას სხვა მის მოძმეთა შორის მეტი მადლი და უფლება აქვს მინიჭებული, ამით ის ამტკიცებს, რომ მას ჯერეთ კიდევ ვერ შეუთვისებია სახარების სიტყვები: «ვინც აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და ვისაც პირველობა სურს, იგი ყველას მონა იყოს.

სემინ. ბღნ.—მეს. ცოლის უხასიათობა და ცუდი ყოფაქცევა იმას არ ამტკიცებს, რომ ქმარიც ასეთივე ცუდი ყოფაქცევის უნდა იყოს.



მათხოჯის დედათა სავანის ქვითკირის ეკლესიის გეგმა.

მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! კურთხევითა და ნებართვითა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, აწ ღვთისმიერ განსვენებულისა, სოფელს მათხოჯში დაარსდა დედათა სავანე 1893 წელში. აქ შეკრებილ 45 დანებმა დაიწყეს შენება თავისი სადგომი სახლებისა და ჩინებულად დაბინავდენ იგინი. ამ წლის მაისის თვიდგან ლოცვა-კურთხევითა ეოველად სამღვდელო ბესარიონისათა შეუდგენ ქვითკირის ეკკლესიის შენებას სავანის ეზოში იმა ადგილს, სადაც ერთ დროს ეოფილა ჩინებული და შესანიშნავი ეკკლესია, რომლის ნანგრევებს დღემდის მოუწმენია. ეკკლესია საფუძველს ზემოთ სამ ალაბზეა აშენებული. დღეს მუშაობა შეჩერებულია უფულობისა გამო. ეჯვს გარეშეა კეთილი გავლენა მონასტერთა და სავანეთა ხალხის კეთილ ზნეობაზე და სარწმუნოებაზე.

მოვიქცევით თხოვნით, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, აღმოგვიჩინეთ შემლებისადაგვარად შემწეობა, რომ ღმერთმან მოგაგოსთ თქვენც ასწილად.

ჯეშმარიტად სანუგეშო და სასიხარულო უნდა იეოს ეოველი ჯეშმარიტი ქართველისათვის განმრავლება და აღორძინება დედათა სავანეთა და მონასტერთა. ჩვენი ქვეეანა ამ კეთილ დწესებულებათა ძეოსებით იეო დიდებული და სახელგანთქმული და მასვე უნდა მოველოდეთ დღესაც.

ეოველ შემწირველთა სახელები აღნიშნული იქნება მოსახსენებელ კონდაკში და მოხსენება ექმნებათ წირვა-ლოცვის დროს. ეოველი შეწირულება ეოველთვის გამოცხადებული იქნება ჟურნალს «მწყემსში». შეწირულებათა გამოგზავნა შეიძლება „მწყემსი" რედაქციაში ტ ბერდაბერ დაბა ხონში ამ ადრესით: დაბა ხონი, მათხოჯის დედათა სავანის რჩევის თავმჯდომარეს ბარასკევას.

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 5 »	— ,, ორივე გამოცემა 3 »
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 »

საყურადღებოდ!

სოფლის სკოლებში მოსწავლეთა სიღარიბისა და შევიწროებულ მდგომარეობისა გამო—მე დავამზადე სასწავლო წლისათვის იაფ-ფასიანი რვეულები:

ასი ცალი 2—3 მანეთამდე.

აგრეთვე ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთები..

აქვე ისყიდება

ქართული წერის დედანი

გაბიჩვაძისა.

ფასი 20 კ.; სასწავლებლებს და გამყიდველთ დაეთმობათ 15 კაპ.

მიმართვადეთ ი. მურადოვის მაღაზიას—ქუთაისში.
3—2

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ოცდა თორმეტი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ და შარდით

ექ. ბ. გ. პრჟევალსკი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი

ექ. მ. ფ. კაგანი.

თვალების ავათმყოფისათვის

ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: რა დროიდან არის შემოღებული წმინდა სანთლის ხმარება? რა მნიშვნელობა აქვს სანთლის ხმარებას? ვის ატყუებ, ღმერთს თუ კაცს?—სამგვარი სიკვდილი.—ჩემი სკოლა.—საქართველოის ძველიდროის თავგადასავალი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საეჭვო კითხვების განმარტება.—წერილი რედაქციის მიმართ. რედაქციის პასუხი.—მათხოჯის დედათა სავანის ქვითკირის ეკლესიის გეგმა. — განცხადებანი.

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 октября 1896 г. ✦ *Цензоръ прот. Е. Елiевъ.*

Типог. редакцiи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.